ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის 2011 წლის 13 აპრილის №57 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

16 აგვისტო 2011 წელი ქ. ზესტაფონი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1) დავით ალანია –(კომისიის თავჯდომარის მოადგილე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილე;

2) ბესიკ – (კომისიის მდივანი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთ. სპეციალიტი იურიდიულ საკითხებში

3) მიხეილ ფოცხვერაშვილი - (კომისიის წევრი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი:

საკონკურსო კომისიის აპარატი:

მედეა ნანიტაშვილი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

დღის წესრიგი:. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავჯდომარის მოადგილემ დავით ალანიამ, კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა შ.პ.ს. „ზესტაფონპროექტ"-მა.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს. „ზესტაფონპროექტ"-მა წარმოადგინა საკონკურსო წინადადების ფასი 1700 (ათას შვიდასი) ლარი.

შ.პ.ს. „ზესტაფონპროექტ"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მოთხოვნებს.

დაადგინეს;

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „ზესტაფონპროექტ"-ი.
2. ქ.ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა გამოყონ სათანადოდ უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ „შემსყიდველსა" და „მომწოდებელს" შორის ობიექტის მიღება-ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.
3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს 3 სამუშაო დღეში გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისია

დავით ალანია-(კომისიის თავჯდომარის მოადგილე)

ბესიკ ღიბრაძე – (კომისიის მდივანი)

მიხეილ ფოცხვერაშვილი - (კომისიის წევრი)

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

№ – 1538

„16“ 08 2011

ზესტაფონი ფერეთლის ქ.11

შპს„ზესტაფონპროექტს”

საპროექტო მომსახურეობის შესყიდვის მიზნით 2011 წლის 9 აგვისტოს გამოცხადებულ № 133 კონკურსში გამარჯვებული ბრძანდებით. გთხოვთ 3 სამუშაო დღის განმავლობაში მობრძანდეთ ხელშეკრულების გასაფორმებლად

პატივისცემით

დავით ალანია

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2011 წლის 15 აგვისტო

საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურეობის შესყიდვის მიზნით 2011 წლის 9 აგვისტოს გამოცხადებულ № 133 მონაწილე კონკურსანტთან.

სატენდერო კომისია

დავით ალანია-(კომისიის თავჯდომარის მოადგილე)

ბესიკ ღიბრაძე –(კომისიის მდივანი)

მიხეილ ფოცხვერაშვილი - (კომისიის წევრი)

სატენდერო აპარატი

მედეა ნანიტაშვილი